საერთაშორისო კონფერენციები

ბაფი, თავისი მისიიდან გამომდინარე, ისწრაფვის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საქართველომ მიაღწიოს საერთაშორისო პრაქტიკასთან სრულ შესაბამისობას, რასაც მისგან ასევე ცალსახად მოითხოვს ბსფ. ბაფისაგან შესაბამისობის მიღწევის აუცილებლობა ხაზგასმულია მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი ინიციატივით მომზადებულ ანგარიშში საქართველოში სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ (ROSC).

პროფესიის რეგულირებისა და სხვადასხვა მიმართულებით მისი განვითარების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, ბოლო წლებში, ბაფის წარმომადგენლები ინტენსიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციებში, აგრეთვე, საკუთარი ინიციატივითა და ორგანიზებით ბაფმა ჩაატარა რამდენიმე სემინარი და საერთაშორისო კონფერენცია.

ბაფის მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში

ინგლისი (ლონდონი)

2004 წლის ნოემბერში ACCA-ის 100 წლის იუბილეზე მოწვეულ 170 ქვეყნის 250 წარმომადგენელთა შორის იყვნენ საქართველოში ACCA-ის პროგრამის კოორდინატორი მ. რევაზიშვილი და ბაფის განათლების კომიტეტის წევრი ლ. გოგსაძე. იუბილე გაიმართა ქ. ლონდონში ლოიდის სასახლეში.

იუბილეზე ხაზი გაესვა იმ წარმატებებს. რომელსაც ACCA-ის პროგრამამ მიაღწია მთელს მსოფლიოში. ACCA-ის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილებანი.

თურქეთი (ისტანბული)

2006 წლის 12-15 ნოემბერს ბაფის, როგორც IFAC-ის წევრი ორგანიზაციის, წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ბუღალტერთა XVII მსოფლიო კონგრესზე. კონგრესის ძირითადი თემა იყო: „ეკონომიკის ზრდა და სტაბილურობა მთელს მსოფლიოში“.

კონგრესი ჩატარდა თურქეთის ქალაქ ისტანბულის საგამოფენო დარბაზში. კონგრესის ერთ-ერთი დამფინანსებელი იყო ACCA. ბაფის ACCA-ის პროგრამის კოორდინატორი მ. რევაზიშვილი შეხვდა ACCA-ის, IFAC-ისა და სხვა პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენლებს. ბუღალტერთა XVIII მსოფლიო კონგრესის ჩატარების ადგილად გამოცხადდა მალაიზია.